

რჩევები მშობლებს

იყავით ფხიზლად ძალადობის მიმართ!

- მოიპოვეთ შვილის ნდობა
- თქვენი შვილისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ მისი განცდები და ყოველდღიური ცხოვრება მშობლისთვის საინტერესოა
- არ დაელაპარაკოთ მუქარის და ბრძანების ტონით
- აგრძნობინეთ შვილს, რომ მისი აზრი თქვენთვის მნიშვნელოვანია
- დაფიქრდით, თქვენ ხომ არ ხართ მიზეზი, დასჯის ან საყვედურის შიშით სიმართლეს რომ გიმალავთ
- დაუთმეთ დრო თქვენს შვილებს, ესაუბრეთ ყოველდღიურად, ესაუბრეთ ღიად მის ემოციებზე
- ჩართეთ ოჯახის საერთო საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღებაში



- მოუსმინეთ თქვენს შვილს ყურადღებით, ის რაც თქვენთვის უმნიშვნელოა, შესაძლოა, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყოს
- აუხსენით, რომ დახმარების თხოვნა ხშირად ყველაზე მართებული გზაა პრობლემის გადასაჭრელად
- ასწავლეთ, რომ არსებობს სიტუაციები, როდესაც პრობლემის მოსაგვარებლად უფროსის ჩარევა აუცილებელია
- მიეცით მას არჩევანის გაკეთების საშუალება
- დაარწმუნეთ, რომ დახმარების თხოვნა სწორი და თამამი ნაბიჯია და არა სისუსტე
- შეპირდით შვილს მხოლოდ ის, რის შესრულებასაც აუცილებლად შეძლებთ
- არ გააკრიტიკოთ სხვების თანდასწრებით
- დაინტერესდით, ვისთან და როგორ ატარებს თავისუფალ დროს
- შვილის ინტერესის გათვალისწინებით, წაახალისეთ მისი სოციალურ პროექტებში, სპორტულ და სახელოვნებო ღონისძიებებში მონაწილეობა
- აღიარეთ და წაახალისეთ მისი ძალისხმევა და პოზიტიური ქცევა
- ნუ მოიყვანთ ძალადობის შემცველ მაგალითებს, როგორც სიძლიერის დამადასტურებელ ფაქტებს
- ითანამშრომლეთ სკოლასთან
- ქცევის თვალსაჩინო ცვლილების შემთხვევაში, მიმართეთ შესაბამის სპეციალისტს
- თუ შეამჩნევთ ფიზიკური ძალადობის ფაქტებს, არ დატოვოთ უყურადღებოდ

ფსიქოლოგის კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში დარეკეთ:

თელ.: 0800000088

ზარი უფასოა